ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1098224

ნომერი: AR1188679

თარიღი : 06.01.2014

გაცემის თარიღი : 28.01.2014

გაცნობის თარიღი : 28.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუხიაშვილი პ/ნ 01024019289
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 6 აინვრის # AR1188679 განცხადებით მომართეს გიორგი მუხიაშვილმა და შპს „პროფილ ბილდინგი“–ს დირექტორმა

რომან კუნჭულიამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთთან დაკავშირებით, კერძოდ, დამკვეთად ლამზირა კოროშინაძის ნაცვლად შპს ''პროფილ ბილდინგის'' დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში, მოქ. ლამზირა კოროშინაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #012/719) შეთანხმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 07 აგვისტოდან 2014 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია ლამზირა კოროშინაძე.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (ამონაწერის რეგისტრაციის #882013616009; მომზადების თარიღი: 18/12/2013 წ. საკადასტრო კოდი: #01.72.14.012.719) საფუძველზე ირკვევა, რომ შეცვლილიასაპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით ლამზირა კოროშინაძის ნაცვლად მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "პროფილ ბილდინგი" (ს/კ 445431097). ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ შპს ''პროფილ ბილდინგის'' დირექტორია რომან კუნჭულია, ხოლო 100%–იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებული ლამზირა კოროშინაძე.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია შპს „პროფილ ბილდინგი'', რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და ცვლილების შეტანა 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებაში დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებაში და დამკვეთად ლამზირა კოროშინაძის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ''პროფილ ბილდინგი''.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.08.2013 წ. #834718 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.